

სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ ბალანსზე არსებული 4 (ოთხი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთების და ტექნიკური მომსახურების (სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი საშუალებებით) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვა



სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე

2016 წელი

ქ. თბილისი

[1]

სარჩევი

1. ინსტრუქტაჟი გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება)-----	3
2. შესყიდვის ობიექტი და ტექნიკური დავალება -----	4
3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი -----	7
4. დანართი №1- რეკვიზიტები-----	11

ინსტრუქტაჟი

ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

იხ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამოიყენება ელექტრონული გარანტია, რომლის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს. ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 120 კალენდარული დღით იყოს „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპიდან.

დადგენილი წესის შესაბამისად, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის - „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ტენდერისთვის „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა შესაბამის ტენდერში წინადადებების მიღების დასრულებამდე, სისტემის მოდულის - „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით გააკეთოს შესაბამისი დაზუსტება/განმარტება, რითაც შესაძლებელია იხელმძღვანელოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისგან:
ეკატერინე ბენდელიანი-მობ: 591 222 888

შესყიდვის ობიექტი და ტექნიკური დავალება:

1) აღნიშნული მოიცავს სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ ბალანსზე რიცხული 4 (ოთხი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების (იხ. ცხრილი N1) შეკეთებას და ტექნიკურ მომსახურებას (სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი საშუალებებით), რაც გულისხმობს ავტოსატრანსპორტო საშუალების დიაგნოსტიკურ და პროფილაქტიკურ მომსახურებას, ოპერატიულ შეკეთებას, სათადარიგო ნაწილების შეკეთებას ან/და შეცვლას და ასევე, საცხებ-საპოხი მასალების შეცვლას შემდეგი პირობებით:

ცხრილი N1

N	სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი	გამოშვების წელი	საწვავის ტიპი	ძრავის მოცულობა
1	TOYOTA LANDCRUISER LC-150	2011	ბენზინი	4.0
2	KIA SORENTO	2012	დიზელი	2.2
3	SUZUKI JIMNY	2012	ბენზინი	1.3
4	SUZUKI JIMNY	2012	ბენზინი	1.3

ა) მიმწოდებლის მიერ შეცვლილ ან/და შეკეთებულ სათადარიგო ნაწილებზე გარანტია უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 6 (ექვსი) თვე, გარდა სწრაფცვლადი დეტალებისა (კერძოდ: გახურების ნათურები, ანთების სანთლები, გახურების სანთლები, დამცველები, გადაბმულობის ამყალი და მიმყოლი რგოლები (ფრიქციონები), ზეთის, კონდინციონერის, ჰაერის და საწვავის ფილტრები, მინის მრეცხავები, ანთების საკონტაქტო ერთეულები და მტვერდამცავები (პილნიკები)) და იმ შემთხვევისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციით გამოწვეულ დაზიანებაზე, კერძოდ: გარეგანი მექანიკური ზემოქმედებით გამოწვეულ დაზიანებაზე.

✓ სამუხრუჭე ხუნდებზე უნდა განისაზღვროს გარანტია კილომეტრაჟით არანაკლებ 5 000 კმ. ხოლო ძრავის ზეთებზე ნახევარ სინთეტიკაზე განისაზღვროს გარანტია კილომეტრაჟით არანაკლებ 8 000 კმ. და ძრავის ზეთებზე სინთეტიკაზე განისაზღვროს გარანტია კილომეტრაჟით არანაკლებ 10 000 კმ.

ბ) მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს საბურავის დაშლა-აწყობის და ბალანსირების დანადგარი; თვლების შეყრის კომპიუტერული (რაზვალი) დანადგარი; კომპიუტერული დიაგნოსტიკის მოწყობილობა; საყრდენი დისკოს (დისკოს მოუხსნელად, ადგილზე) გასაჩარხი მოწყობილობა; ავტომატურ გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლის აპარატი; ძრავში ზეთის შესაცვლელი აპარატი; ელექტრომომარაგების სარეზერვო წყარო (გენერატორი); სერვისცენტრში სამუშაო ფართობში დაცული უნდა იყოს ჰიგიენური, სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები.

გ) იმ შემთხვევაში თუკი მოხდება მიმწოდებლის მხრიდან დამატებით რაიმე სახის ზიანის მიყენება ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მიმწოდებელი თავად უზრუნველყოფს მის შეკეთებას ახალი დეტალით უსასყიდლოთ.

დ) მიმწოდებელმა ყოველ ექვს თვეში ერთხელ საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს სავალი ნაწილების დიაგნოსტიკა და ელექტრომოწყობილობების კომპიუტერული დიაგნოსტიკა.

ე) მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს 1 (ერთი) სამუშაო დღეში, საშუალო სირთულის რემონტი 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, აგრეგატულ ნაწილებზე 10 (ათი) სამუშაო დღეში, დეფიციტური სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფა - არაუმეტეს 20 კალენდარულ დღეში, ხოლო განსაკუთრებულ (გამონაკლის) შემთხვევებში შემსყიდველთან შეთანხმებით.

ვ) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სერვისცენტრში ავტოსატრანსპორტო საშუალების დაუყოვნებლივ მიღება და მომსახურების გაწევა.

ზ) ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანებული ნაწილი უნდა შეიცვალოს ახალი ქარხნული წარმოების მაღალი ხარისხის სათადარიგო ნაწილით.

თ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დეფექტური აქტის შედგენის შემდეგ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისთვის საჭირო საქონლის (სათადარიგო ნაწილების) დეტალური აღწერა.

ი) მომსახურება უნდა განხორციელდეს 2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, პრესკურანტისა და ტექნიკური დავალების შესაბამისად, მიმწოდებლის სერვისცენტრში.

კ) მიმწოდებელმა საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების ევაკუატორით მომსახურება საქართველოს მასშტაბით.

ლ) მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს მოქმედი სერვისცენტრი ქ. თბილისში, (სასურველია ასევე გააჩნდეს დამატებით სერვისცენტრები საქართველოს მასშტაბით). სერვისცენტრი უნდა იყოს პრეტენდენტის მფლობელობაში ან სარგებლობაში (ქირა, იჯარა ან სხვა). სერვისცენტრი უნდა ფუნქციონირებდეს ყოველდღიურად, (გარდა კვირა დღისა).

2. პრესკურანტი:

ა) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ პრესკურანტში დაფიქსირებული მომსახურების, სათადარიგო ნაწილის ან/და საცხებ-საპოხი მასალის ერთეულის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ში შესაბამის პოზიციაზე დაფიქსირებულ ერთეულის სავარაუდო ღირებულებას.

ბ) ელექტრონული ვაჭრობის შედეგად პრესკურანტის საერთო ფასის შემცირების შემთხვევაში, ფასთა კლება პროცენტულად და პროპორციულად უნდა აისახოს ყველა დასახელების მომსახურებაზე, სათადარიგო ნაწილზე და საცხებ - საპოხ მასალაზე.

გ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ პრესკურანტში რომელიმე განუფასებელი პოზიციის არსებობის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აღნიშნული პოზიციით გათვალისწინებულ მომსახურებას, სათადარიგო ნაწილს ან/და საცხებ-საპოხ მასალას პრეტენდენტი შემსყიდველს სთავაზობს უფასოდ.

დ) პრესკურანტში მომსახურების, სათადარიგო ნაწილის ან/და საცხებ-საპოხი მასალის რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი შესყიდვის აუცილებლობისას დგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრესკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობისას დაფიქსირებული პრესკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს.

ე) სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი უნდა შეიცავდეს როგორც მომსახურების (სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი მასალების გათვალისწინებით) ღირებულებას, ისე მის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

გ) პრესკურანტის ჯამური სავარაუდო ღირებულება შეადგენს 141 717.00 (ას ორმოცდაერთი ათას შვიდას ჩვიდმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს, ხოლო ხელშეკრულება გაფორმდება 10 000.00 (ათი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარზე.

- 3. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება;
- 4. ანგარიშწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- 5. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია (გარდა დანართი N2 პრესკურანტი Excel-ის ფაილი) ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

6. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
7. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტი ვალდებულია დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშ-ფაქტურით, ინვოისით ან/და საშემფასებლო დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ან წარმოდგენილი დასაბუთება შემსყიდველის მიერ არ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
8. დაფინანსების წყარო - 2017 წლის საკუთარი შემოსავლები.

პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია:

1. რეკვიზიტები დანართი N1-ის შესაბამისად;
2. პრეტენდენტის მიერ (შევსებული) პრეისკურანტი დანართი N2-ის შესაბამისად (Microsoft Excel-ის ფორმატში);
3. ინფორმაცია პრეტენდენტის სარგებლობაში არსებული სერვისცენტრ(ებ)ის რაოდენობის და მისამართ(ებ)ის მითითებით, ასევე მფლობელობის ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან ხელშეკრულება), ტექნიკური დავალების 1 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;
4. წერილობითი თანხმობა შესყიდვის ობიექტის და ტექნიკური დავალების 1 პუნქტის „ა-ლ“ ქვეპუნქტების ჩათვლით განსაზღვრულ მოთხოვნებზე, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერით ან/და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

----- 201 წ.

სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი --
----- სახით, და -----, წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, შემდგომში წოდებული
„მიმწოდებლად“, მოქმედი საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
 2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
 3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
 4. „მხარე“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
 5. „მხარეები“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.
- ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი: სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“

მიმწოდებელი: -----

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“)-ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2 „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება“ ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „შემსყიდველი“ ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (CPV50110000) 4 (ოთხი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთების და ტექნიკური მომსახურების (სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ -საპოხი საშუალებებით) სახელმწიფო შესყიდვა.
- 2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

- 3.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2017 წლის 01 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 3.2 მომსახურების გაწევის ადგილი _ მიმწოდებლის სერვისცენტრი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

- 4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს დღგ-ს ჩათვლით.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

- 5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ----- დღის ვადაში.
- 5.2 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი
- 5.3 ანგარიშსწორების ადგილი - ქ. თბილისი.
- 5.4 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.
- 5.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამატებლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4 შემსყიდველი უფლებამოსლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, თუ მიმწოდებლის მხრიდან ადგილი ექნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან/და არასათანადოდ შესრულებას.

მუხლი 7. ხარისხი

7.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

მუხლი 8. მომსახურების გაწევის მიღება_ჩაბარების წესი

8.1 მომსახურების გაწევა დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეულ მომსახურებაზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისგან.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
- ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;
- ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებლისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 11. ხელშეკრულების დადების საფუძველი

11.1 ხელშეკრულების დადების საფუძველი არის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ----- და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2018 წლის -- ----- ჩათვლით.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

13.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

13.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“

„მიწოდებელი“

1. რეკვიზიტები :

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

ან/და ბეჭედი

(არსებობის შემთხვევაში)